სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N98

ქალაქი ბათუმი 18 ოქტომბერი 2019 წელი

ეს ხელშეკრულება წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დაიდო 2019 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის “ა” პუნქტის შესაბამისად 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი (ერთჯერადი უფასო კვების პროგრამა).

ხელშეკრულების მხარეები:

ერთის მხრივ ა(ა)იპ ,,ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო'' (შემდგომში „შემსყიდველი“)ს/კ 445437705, მის: ქ. ბათუმი, ლერმონტოვის 90ა, წარმოდგენილი დირექტორის ასლან გელაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „დათანატა“ წარმოდგენილი მისი დირექტორის როლანდ ქათამაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“) ს/კ **445488650**.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თნხა, რომელზეც გაფორმებულია წინამდებარე ხელშეკრულება.
1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5. “დღე”, “კვირა”, “თვე” – კალენდარული დღე, კვირა, თვე;
1.6. „შესყიდვის ობიექტი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანი - შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ა(ა)იპ ,,ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო''-ს სასადილოებისთვის დამხმარე სამშენებლო მასალების შესყიდვა (ცემენტი, სილა, ბლოკები, ფილები და სხვა) N44100000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **400**ლარს.
3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. მიწოდების ვადა და ადგილი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე მოთხოვნის შესაბამისად.
4.2. მიწოდება უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართებზე: ქ. ბათუმი, ლერმონტოვის 90ა.
1. სასადილო N1 ქ. ბათუმი, ტაბიძის ქ. N2
2. სასადილო N2 ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. N92
3, სასადილო N3 ქ. ბათუმი, კიკვიძის ქ. N7 (ბენზე)
4. სასადილო N4 ქ. ბათუმი, დიდაჭარის პირველი ჩიხი N1 (ხელვაჩაური)
5. სასადილო N5 ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი, მე-3 შესახვევი N2 (მახინჯაური)
6. სასადილო N6 ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. N69.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ გაფორმებული შესაბამისი დოკუმენტაციის (მიღება–ჩაბარების აქტის ან/და ზედნადების ან/და ანგარიშფაქტურის ან/და სხვა დოკუმნეტის) უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის ან/და ელექტრონულად გამოწერის შემდეგ.

6. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

6.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება მითითებული ღირებულების შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორებით, შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ, შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს მიუწოდებელი საქონლის ღირებულების ანაზღაურებაზე.
6.2. ანგარიშსწორებისას პირველ რიგში გამოიქვითება პირგასამტეხლოს სახით დაკისრებული და მიმწოდებლის მიერ შემსყიდველის სასარგებლოდ გადასახდელი სხვა გადასახდელები, რომლის შედეგად დარჩენილი თანხა აუნაზღაურდება მიმწოდებელს (ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა).

6.3. ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს, მხოლოდ ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია: ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია: ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესყიდული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია: ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია: ა) შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები მოქმედი ნორმებისა და წესების დაცვით, სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი პირი ან პირთა ჯგუფი, კერძოდ: ასლან გელაძე, რომელიც უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებას.

8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შესყიდვის ობიექტის რაოდენობის, მიწოდების ვადებისა, ხარისხის და ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლს.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის განისაზღვრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით;

9.2. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს) განისაზღვრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;

9.3. ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, განისაზღვრება პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების არაუმეტეს 10%-ის ოდენობით.

9.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მხარეს არანაკლებ 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

11.3. თუ მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ვალდებულებებს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს გარემოების დადგომის (დასრულების) შესახებ.

11.4. 11.3. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.5. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. სადავო საკითხების გადაწყვეტა

12.1. მხარეებმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა ყველა წამოჭრილი დავა გადაწყვიტონ ურთიერთშეთანხმების გზით.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

13. სხვა პირობები

13.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13.4. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13.5. ხელშეკრულება შედგენილია ორი ბთანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრამდე ან/და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი: ა(ა)იპ ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო“ ხაზინის ერთიანი ანგარიში დირექტორი: ასლან გელაძე	მიმწოდებელი: შპს „დათანატა“ ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE22 საანგარიშსწორებო ანგარიშის N: N GE63TB7709336050100001 როლანდ ქამადაძე

Roland Kamadadze

Подписано цифровой подписью: Roland Kamadadze
Дата: 2019.10.23 18:01:42 +04'00'

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ
წერილობითი დადასტურება

ქ. ბათუმი 18 ოქტომბერი 2019 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად ა(ა)იო ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო (ს/კ445437705) წარმოდგენილი დირექტორის ასლან გელაძის სახით ვადასტურებ, რომ ა(ა)იპ ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტოს მიერ 2019 წლის 18 ოქტომბერს N98 ხელშეკრულებით შერჩეულ მიმწოდებელთან არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში.

დირექტორი
ასლან გელაძე